სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ

2012 წლის 23 თებერვალს განხილული საქმეების მოკლე მიმოხილვა

- *კლიშინი უკრაინის წინააღმდეგ – განაცხადი №30671/04*

აპლიკანტი სერგეი კლიშინი უკრაინის მოქალაქეა, დაიბადა 1985 წელს და ცხოვრობს ქალაქ კონოტოპში. აპლიკანტი ჩივის, რომ 2003 წლის ნოემბერში პოლიციის თანამშრომლებმა ერთ-ერთი მოქალაქის საჩივრის საფუძველზე იგი დააკავეს და წაიყვანეს პოლიციის გაყოფილებაში, სადაც მას ფიზიკურად გაუსწორდნენ. ამასთან დაკავშირებით მან შესაბამის ორგანოებს მიმართა, რათა გამოეძიებიათ ძალადობის ფაქტი. მიუხედავად ამისა, აპლიკანტი ჩივის, რომ არაეფექტური გამოძიების გამო, მის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი. ამას გარდა აპლიკანტი ჩივის, კონვენციის მე-5 მუხლის I, IV და V ნაწილების სავარადუდო დარღვევის გამო. მას მიაჩნია, რომ 2003 წლის 22 ნოემბერს მისი დაკავება და საპატიმროში მოთავსება უკანონო იყო.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის I და V ნაწილები. განმცხადებლის მიერ სამართლიანი დაკმაყოფილების მოთხოვნა განსაზღვრულ ვადებში არ მოხდა, შესაბამისად, ეს საკითხი სასამართლომ აღარ განიხილა.

<u>ანალოგი საქმეები</u>

- *კრავჩენკო უკრაინის წინააღმდეგ – განაცხადი №49122/07*

აპლიკანტი ჩივის, რომ მისი პატიმრობა გაგრძელდა თითქმის ორ წლამდე, ყოველგვარი სასამართლო დადგენილების გარეშე. იგი ჩივის, რომ მის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის I ნაწილის „c“ ქვეპუნქტი.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის I ნაწილის „c“ ქვეპუნქტი.